პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2021 წლის -------ოქტომბერი

ქ. წყალტუბო

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ **„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ **„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“** ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I –II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ **„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“** მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა _____ მ. ბერაძე

შეთანხმებულია _____ მ. შალამბერიძე

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
არასამეწარმეო (არაკომერციული)
იურიდიული პირი
„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა
და დასუფთავების გაერთიანება“

წერილის ნომერი: **14-4821281101**
თარიღი: **08/10/2021**
პინი: **8586**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გიგზავნით ანგარიშს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ სამსახურის მიერ 2020 წლის და 2021 წლის პირველ, მეორე და მესამე კვარტალში გაწეული სამუშაოების შესახებ.

დანართი თან ერთვის.

დავით იობიძე

ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა
და დასუფთავების გაერთიანება-ა(ა)იპ დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქ.წყალტუბო რუსთაველის ქ.N 25 ტ. 577 61 68 72 e-mail:ketilmockobadasuptaveba@gmail.com

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ პაატა ახალაძეს

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების"
სამსახურის ანგარიში
2020 წლის გაწეული საქმიანობის შესახებ

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება" დაფუძნდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2011 წლის 23 დეკემბრის № 145 განკარგულებით როგორც არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი. 2018 წლის 6 ივნისიდან (2020 წლის 18 თებერვლამდე), დასუფთავების სამსახური ხელმძღვანელობს წყალტუბოს მერის №311726 ბრძანების „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების" (ს/კ 421268023) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ" საფუძველზე დამტკიცებული წესდებით, რომლის თანახმად, სამსახური ეწევა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების (ქუჩები და მოედნები) დაგვა-დასუფთავებას, ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ქალაქგარეთ სპეციალურ ნაგავსაყრელზე გატანას, აგრეთვე განსაზღვრულ ტერიტორიებზე ნაგვის ბუნკერების განთავსებას.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების" საშტატო ნუსხა წარმოდგენილი იყო 99 შტატით. ადმინისტრაციიული სამსახური ხელმძღვანელი პირით -22, მეეზოვე - 46, მუშა -20, მძღოლი - 9, დარაჯი- 2.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი" (ს/კ 421271670) (2020 წლის 18 თებერვლამდე) მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიებისა და დასახლებების გამწვანება-განაშენიანებას, ახორციელებს მუნიციპალურ საკუთრებაში მოქცეული კომუნალური და კეთილმოწყობითი კომუნიკაციების მართვა-მოწესრიგებას, ცივი ტბის და მისგან მომდინარე არხების მოვლა–პატრონობას, სანიაღვრე ქსელების, გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და სხვადასხვა კეთილმოწყობით სამუშოებს.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი" ფუნქციონირებს 2015 წლის 02 ივნისიდან. სამსახურის საშტატო განრიგი განისაზღვრება 106 თანამშრომლით, მათ შორის ადმინისტრაცია - 14 ; გარე განათება – 15 და გამწვანება–განაშენიანება – 77.

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების" 2020 1 იანვარიდან და 18 თებერვლამდე ჩატარდა 1 ელექტრონული ტენდერი:

1: მანქანების შეკეთებისა და ტექმომსახურეობის ელექტრონული ტენდერი (NAT200001302) გამოცხადდა 2020 წლის 17 იანვარს, გამარჯვებულია შპს „ალეკო-მოტორსი", რომელთანაც 14 თებერვალს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №3 ხელშეკრულება 167 000 ლარზე.

ბიუჯეტის ათვისება 2020 წლის 1იანვრიდან 18 თებერვლამდე მოხდა შემდეგნაირად:

ხელფასის მუხლში - ათვისებულია 42 870 ლარი.

მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟებისათვის გახარჯულია - 85 ლარი.

ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის მუხლში ათვისებულია 245,30 ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯი (ადგილობრივი ტელეფონი და ჯეოსელი) - ათვისებულია 348.28 ლარი.

კომუნალური ხარჯებისათვის (ელექტროენერგიისა და წყლის ხარჯი) - ათვისებულია 679.64 ლარი.

საწვავ-საპოხი მასალების შეძენისათვის - ათვისებულია 32742.57 ლარი.

მოგახსენებთ რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ 18/02/2020 წლის N 31 601 ბრძანების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების" დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების საფუძველზე მოხდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების" (ს/კ 421268023) და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის" (ს/კ 421271670) შერწყმა და ჩამოყალიბდა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება" (ს/კ 421277772). სამსახურის საშტატო განრიგი განისაზღვრება 207 თანამშრომლით, მათ შორის ადმინისტრაცია - 25 ; გარე განათება – 16, გამწვანება–განაშენიანება – 63, დასუფთავების და ნარჩენების მართვა - 74, ცენტრალური პარკი- 21, წყალარინების სისტემა და სანიაღვრე არხი - 8.

სამსახურის მიერ ბენზოცელების, სათიბი მანქანის და ხელის ცელების საშუალებით გაითიბა ცენტრალურ პარკში არკებიდან მე-6 აბაზანისკენ მიმავალი გაზონები, სპორტ დარბაზის, მუზეუმის, სასტუმრო „პლაზას", ს/დ „ივერიის", ცივი ტბის, გამგეობის და საკრებულოს მიმდებარე ტერიტორიები და სკვერები. ასევე გაითიბა ქალაქში არსებული სამკაპი და კუნძულები, პარკის წრეზე არსებულიარხის პირი.

სისტემატიურად იწმინდებოდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე არხები საყოფაცხოვრებო და ბუნებრივი ნარჩენებისგან.

ყოველდღიურად ხორციელდებოდა შემოვლითი სამუშაოები მოხეტიალე პირუტყვის აღკვეთის მიზნით.

ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ გარე განათების ქსელში შეიცვალა და შეკეთდა დაზიანებული ელექტრო მოწყობილობები.

ქ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის მეეზოვეების მიერ ყოველდღიურად, დილა-საღამოს, იგვება ქალაქის ქუჩები და მოედნები. სამსახურის სამოქმედო ტერიტორიაზე (ქვიტირი-ფარცხანაყანევის, კოპიტნარის, ბროწეულას, ვარციხესის, გუმბრინის, ბანოჯის, გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის, ოფშკვითის, საყულიის, ქვილიშორის, ჩუნეშის, ხომულისა და გვიმტიბის) განთავსებული ნაგვისშემკრები კონტეინერებიდან და საერთო საცხოვრებლების ბუნკერებიდან ყოველდღიურად ხდება დაახლოებით 25-მდე ტონა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გატანა. ყოველდღიურად იწმინდება გზების და გზატკეცილების მიმდებარე ტერიტორიები. კერძოდ, პრომეთეს მღვიმის მიმდებარე ტერიტორია, წყალტუბო-ქუთაისის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია სათაფლიის ნაკრძალის ჩათვლით, ქუთაისი-ხონი-მაღლაკის მონაკვეთის

ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია, მაღლაკი-სალიის გზის მონაკვეთი, ქუთაისი-კოპიტნარის ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია აეროპორტის ჩათვლით.

სამსახური ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს თხოვების ფორმით გადმოცემული ხუთი საბუნკერე და ორი მცირე თვითმცლელი სპეცავტომანქანით, რომლებზეც თვეში საშუალოდ იხარჯება მინიმუმ 5300 და მაქსიმუმ 5800 ლიტრი დიზელის საწვავი.

2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ ახალი კორონავირუსის (COVID-19) პანდემიად გამოცხადებისთან დაკავშირებით პრეზიდენტის ბრძანებით 2020 წლის 21 მარტიდან 21 აპრილის ჩათვლით გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, რომლის მოქმედების ვადა გაგრძელდა 2020 წლის 22 მაისის ჩათვლით. მოგახსენებთ რომ ქვეყანაში შექმნილ მდგომარეობაში ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება" განაგრძობდა მუშაობას დატვირთულ რეჟიმში. ა/წ 11 მარტიდან 7 აპრილამდე სასტუმრო „ლეგენდ სპა-რესორტში" კოვიდ 19-თან დაკავშირებით კარანტინში განთავსებულ მოქალაქეების მომსახურეობას უწევდა ჩვენგან მივლინებული ხუთი თანამშრომელი. ამავდრულად სამსახურის ავტომობილების მიერ ხდებოდა სამეურნეო ნარჩენების დღეში ორჯერ გატანა, ასევე სამეურნეო ნარჩენები გაგვქონდა სასტუმრო „პლაზადან" და სასტუმრო „პრომეთედან".

ბიუჯეტის ათვისება 2020 წლის 18 თებერვლიდან დეკემბრის ბოლომდე მოხდა შემდეგნაირად:

ხელფასის მუხლში - გახარჯულია 953 258.35 ლარი, ასევე 2020 წლისათვის სოციალური დახმარება (ბიულეტინის სახით) გაცემულია 11700.36 ლარი

საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენისათვის - გახარჯულია1485.70 ლარი.

კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯისათვის - ათვისებულია 590 ლარი.

მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟებისათვის - გახარჯულია 948 ლარი.

საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟებისათვის - გახარჯულია 1248 ლარი.

ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების შეძენის მუხლში - ათვისებულია 9817.25 ლარი.

რეცხვის ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენისათვის გახარჯულია 733 ლარი.

საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტისათვის გახარჯულია 4627ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯი (ადგილობრივი ტელ. ინტერნეტი და ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯი) - ათვისებულია 2513.97 ლარი.

კომუნალური ხარჯებისათვის (ელექტროენერგიისა და წყლის ხარჯი) ათვისებულია 3722.39 ლარი.

საფოსტო მომსახურების ხარჯი - გახარჯულია 30.60 ლარი.

რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები -ათვისებულია 22412 ლარი.

საწვავ-საპოხი მასალების შეძენისათვის ათვისებულია 147933.42 ლარი.

მიმდინარე რემონტის ხარჯებისათვის - ათვისებულია 236631.42 ლარი.

ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯისთვის (საბურავი, რეცხვა, ავტომანქანის ტექ. დათვალიერება და ტრანსპორტის დაქირავების, გადაზიდვა-გადაყანის ხარჯი) - ათვისებულია 34769 ლარი.

სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი - ათვისებულია 136715.76 ლარი.

სამედიცინო ხარჯების მუხლში - ათვისებულია 2803.69 ლარი.

დირექტორი: / დ. იობიძე/

ბუღალტრი: /ს. ვახტანგაძე/

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ პაატა ახალაძეს

ა(ა)იპ "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების"
სამსახურის ანგარიში
2021 წლის III კვარტლის გაწეული საქმიანობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის მიერ 18/02/2020 წლის N 31 601 ბრძანების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების" დაფუძნებისა და წესდების დამტკიცების საფუძველზე მოხდა ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავების" (ს/კ 421268023) და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრის" (ს/კ 421271670) შერწყმა და ჩამოყალიბდა ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება" (ს/კ 421277772).

სამსახური ეწევა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების (ქუჩები და მოედნები) დაგვა-დასუფთავებას, ანახვეტისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების ქალაქგარეთ სპეციალურ ნაგავსაყრელზე გატანას, აგრეთვე განსაზღვრულ ტერიტორიებზე ნაგვის ბუნკერების განთავსებას. სამსახური ყოველდღიურ საქმიანობას ახორციელებს თხოვების ფორმით გადმოცემული ხუთი საბუნკერე და ორი მცირე თვითმცლელი სპეცავტომანქანით, რომლებზეც თვეში საშუალოდ იხარჯება მინიმუმ 5500 და მაქსიმუმ 6000 ლიტრი დიზელის საწვავი. მეეზოვეების მიერ ყოველდღიურად, დილა-საღამოს, იგვება ქალაქის ქუჩები და მოედნები. სამსახურის სამოქმედო ტერიტორიაზე (ქვიტირი-ფარცხანაყანევის, კოპიტნარის, ბროწეულას, ვარციხჰესის, გუმბრინის, ბანოჯის, გეგუთის, პატრიკეთის, ტყაჩირის, ოფშკვითის, საყულიის, ქვილიშორის, ჩუნეშის, ხომულისა და გვიშტიბის) განთავსებული ნაგვისშემკრები კონტეინერებიდან და საერთო საცხოვრებლების ბუნკერებიდან ყოველდღიურად ხდება დაახლოებით 25-მდე ტონა საყოფაცხოვრებო და სამეურნეო ნარჩენების გატანა. ყოველდღიურად იწმინდება გზების და გზატკეცილების მიმდებარე ტერიტორიები. კერძოდ, პრომეთეს მღვიმის მიმდებარე ტერიტორია, წყალტუბო-ქუთაისის გზატკეცილის მიმდებარე ტერიტორია სათაფლიის ნაკრძალის ჩათვლით, ქუთაისი-ხონი-მაღლაკის მონაკვეთის ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია, მაღლაკი-სალიის გზის მონაკვეთი, ქუთაისი-კოპიტნარის ცენტრალური მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორია აეროპორტის ჩათვლით. 2021 წლის 2 თებერვალს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიისგან გადმოგვეცა 100 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი, რომლებიც განაწილდა ქალაქის ტერიტორიაზე. აღმოფხვრილია სოფელ გუმათში ხელოვნური ნაგავსაყრელი, გასუფთავდა სოფელ გვიშტიბის მიმდებარე ტერიტორიები, სოფელ ფარცხანაყანევში გაიწმინდა ხელოვნურად შექმნილი ნაგავსაყრელი, სოფელ მესხეთში

სისტემატიურად იწმინდება გზის მიმდებარე ტერიტორიები, მაღლაკი-ხონის მიმართულებით მოხდა ფართო მასშტაბის ხელოვნურად შექმნილი ნაგავსაყრელის გასუფთავება და აღმოფხვრა. დაზიანებული ურნებიდან აღდგენილია 37 ურნა რომელიც გადანაწილდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მასშტაბით.

სამსახური მომსახურებას უწევს მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიებისა და დასახლებების გამწვანება-განაშენიანებას, ახორციელებს მუნიციპალურ საკუთრებაში მოქცეული კომუნალური და კეთილმოწყობითი კომუნიკაციების მართვა-მოწესრიგებას, ცივ ტბის და მისგან მომდინარე არხების მოვლა–პატრონობას, სანიაღვრე ქსელების, გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და სხვადასხვა კეთილმოწყობით სამუშოებს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის დასკვნის საფუძველზე მოიჭრა ავარიული და გამხმარი ჯიშის ხეები: ვაჟა შაველას ქუჩაზე მოიჭრა ერთი ძირი გამხმარი მუხის ხე, გურამიშვილის ქუჩაზე მოიჭრა 3 ძირი ავარიული ნაძვის ხე, სსიპ იუსტიციის უმაღლესი სკოლის წყალტუბოს ფილიალის ეზოში მოიჭრა 7 ძირი გამხმარი ხე. რუსთაველის ქუჩაზე გაიწმინდა სანიაღვრე არხები, პარკის ტერიტორიაზე შეკეთდა სკამები, გაითიბა მეხუთე აბაზანის მიმდებარე ტერიტორია. ყოველდღიურად ხორციელდებოდა შემოვლითი სამუშაოები მოხეტიალე პირუტყვის აღკვეთის მიზნით. ასევე გარე განათების მხრივ შესრულდა აღდგენითი სამუშაოები წყალტუბოს რაიონის ზედა ზონაში სოფელ რიონში; გუმათში; დღნორისაში და დერჩში; ქვედა ზონაში სოფელ ფარცხანაყანებში და მაღლაკში. აღდგენითი სამუშაოები ასევე ჩატარდა ქალაქის ტერტორიაზე და. ცენტრალურ პარკში.

ქალაქის შემოსასვლელში არსებულ დეკორატიულ ქოლგებში განთავსებული ყვავილების შეცვლის მიზნით, შეძენილ იქნა დეკორატიული ხელოვნური ყვავილები, რომელიც განთავსებულია ქალაქის ცენტრალური პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე.გაიცელა წყალტუბოს N1 N2 N3 N4 საჯარო სკოლების მიმდებარე ტერიტორია, ასევე გაცელვითი სამუშაოები ჩატარდა წყალტუბოს ტერიტორიაზე არსებულ სპორტულ მოედნებთან, გაიცელა წყალტუბოს ბაღების მიმდებარე ტერიტორიები, ასევე გაიცელა გოგებაშვილის, ტაბიძის და 9 აპრილის ქუჩები, შემოსული წერილების საფუძველზე განხორციელდა ხეების მოჭრა. შემოსული წერილების საფუძველზე პერიოდულ სამუშაოებს ატარებდა სპეც. ტექნიკა.

სამსახურის საშტატო განრიგი განისაზღვრება 207 თანამშრომლით, მათ შორის ადმინისტრაცია - 25 ; გარე განათება – 16, გამწვანება–განაშენიანება – 63, დასუფთავების და ნარჩენების მართვა - 74, ცენტრალური პარკი– 21, წყალარინების სისტემა და სანიაღვრე არხი - 8.

ბიუჯეტის ათვისება 2021 წლის III კვარტალში მოხდა შემდეგნაირად:

ხელფასის მუხლში გახარჯულია 787882.23 ლარი, ასევე III კვარტლისათვის სოციალური დახმარება (ბიულეტინის სახით) გაცემულია 6013.65 ლარი.

საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტინების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენისათვის გახარჯულია 939.5 ლარი.

კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლებისათვის გახარჯულია 45 ლარი.

მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟებისათვის გახარჯულია 155 ლარი.

საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟებისათვის გახარჯულია 4322.5 ლარი.

ოფისისათვის სანიტარული საგნებისა და საჭირო მასალების მუხლში ათვისებულია 8607.60 ლარი.

რეცხვის ქიმწმენდის და სანიტარული საგნების შეძენისათვის გახარჯულია 1802.4 ლარი.

საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტისათვის გახარჯულია 2390 ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯი (ადგილობრივი ტელ. ინტერნეტი და ფიჭური კავშირგაბმულობის ხარჯი) - ათვისებულია 3976.77 ლარი.

კომუნალური ხარჯებისათვის (ელექტროენერგიისა და წყლის ხარჯი) - ათვისებულია 5208.57 ლარი.

სამედიცინო ხარჯების მუხლში - ათვისებულია 119.98 ლარი.

რბილი ინვენტარის, უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი - ათვისებულია 13629 ლარი

საწვავ-საპოხი მასალების შეძენისათვის - ათვისებულია 166132.69 ლარი.

მიმდინარე რემონტის ხარჯებისათვის - ათვისებულია 224581.35 ლარი.

ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯისთვის (საბურავი, რეცხვა, ავტომანქანის ტექ. დათვალიერება და ტრანსპორტის დაქირავების, გადაზიდვა-გადაყანის ხარჯი) - ათვისებულია 16554 ლარი.

სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი - ათვისებულია 133308.85 ლარი.

არაფინანსური აქტივების ზრდის ხარჯი - ათვისებულია 4629 ლარი.

დირექტორი: / დ. იობიძე/

ბუღალტრი: /ს. ვახტანგაძე/

ადრესატი:

მურმან შალამბერიძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49212918**
თარიღი: **18/10/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარეს ბატონ მურმან შალამბერიძეს

ბატონო მურმან,

წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტებს- **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I -II -III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ”, კომისიის სხდომაზე განსახილველად.**

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოვალეობის შემსრულებელი)

115

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ **„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ მიერ 2020 წლის და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.**

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ **„ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“** ანგარიში 2020 წელსა და 2021 წლის I –II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ **„წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“** მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I –II –III კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

116

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2021 წლის 26 ოქტომბრის კომისიის სხდომაზე განიხილა ანგარიში, ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ ა(ა)იპ ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანების“ მიერ 2020 წელსა და 2021 წლის I-II-III კვარტალში გაწეული მუშაობა შეაფასა დადებითად და მიზანშეწონილად მიიჩნია, წარმოდგენილი ანგარიში, რომელზედაც კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადდა შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
მურმან შალამბერიძე